ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N11

2016 წლის 29 ივლისი

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 სექტემბრის

N10 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 სექტემბრის N10 დადგენილებაში და მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე-3“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე-3) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან/და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების (მათ შორის შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების) მიზნით ქმნის კომისიებს, რომელთა უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით/უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებით ან/და კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“

მუხლი 2.

შევიდეს ცვლილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 სექტემბრის N10 დადგენილებაში და მე-10 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ.ე“ პუნქტი:

„გ.ე) ახორციელებს საქართველოს კანონით „სამოქალაქო აქტების შესახებ“ განსაზღვრულ უფლებამოსილებას, კერძოდ დაბადების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვა, თუ ბავშვი სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაიბადა. პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვა, პირის გარდაცვალების თაობაზე შეტყობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, გარდაცვალების რეგისტრაციის მიზნებისათვის ადგენს პირის გარდაცვალების დამადასტურებელ დოკუმენტს - ოქმს.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**